პროფესიული გადამზადების პროგრამა „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მე-3
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 40 საათი, კვირაში - 10 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 10
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: • საბაზო განათლება; • პრაქტიკული გამოცდილება სასაწყობე სატვირთულების ოპერირებაში არანაკლებ 6 თვე; • ასაკი არანაკლებ 18 წელი; • გასაუბრება;
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს სასაწყობე სატვირთველზე მუშაობის თავისებურებათა დახასიათებას; სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაციის ნორმების აღწერას; სასაწყობე სატვირთველზე მუშაობისთვის მოსამზადებელი ოპერაციების შესრულებას და სატვირთო/განტვირთვის სამუშაოების შესრულებას უსაფრთხოების წესების დაცვით.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: • პროფესიული სტანდარტი - „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“ - Heavy construction Equipment Operator (Motor Grader, Wheel Loader, Hydraulic Escalator) -040777 • შპს "ნოვას" წერილი " სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორს • ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის წერილი სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დირექტორს • PSDTVET South Caucasus Development of private economy and vocational training in the Transport & Logistics sector in Georgia საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი (2020)
პროგრამის მოკლე აღწერა: **„სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“** პროფესიული გადამზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლიან, გაეცნონ სასაწყობე სატვირთველზე მუშაობის თავისებურებებს, მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის ნორმებს, შეასრულონ სასაწყობე სატვირთველზე მოსამზადებელი ოპერაციები და შემდეგ უსაფრთხოების წესების დაცვით განახორციელონ სატვირთო/ განტვირთვის სამუშაოები. **„სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“** პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 ვირას, კვირაში - 10 საათი. სწავლა განხორციელდება, როგორც კოლეჯის კეთილმოწყობილ აუდიტორიებში, ასევე რეალურ გარემოში - კომპანია „ნოვაში“. გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავება, ასევე პრაქტიკული უნარების დახვეწა. გამოყენებული იქნება სწავლების ინტერაქტიული ფორმები, ვიდეო ჩვენება; პრეზენტაციები, ინსტრუქტაჟი, შესაძლებელია ასევე პროგრამის ნაწილების (თეორიული კომპონენტის) დისტანციური ფორმით განხორციელება. მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გაამოკითხვა, პრაქტიკული დავალებები, ქეისების (შემთხვევების) ანალიზი, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება. მიმდინარე, განმავითარებელი შეფასება პრაქტიკულად ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება, განმსაზღვრელი შეფასება (საბოლოო გამოცდა) ჩატარდება სწავლის ბოლოს, რომლის დროსაც შეფასდება მსმენელების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

„სასწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

„სასწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულების დასაქმებას ნებისმიერ კომპანიაში, სადაც გამოიყენება სასაწყობე სატვირთველები.